პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი № 76 (12892) | სამშაბათი, 31 მარტი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

პრესა — სიახლის აქტიური პროპაგანდისტი

საბჭოთა ხალხი წარმატებით ახორციელებს კომუნისტური საზოგადოების აშენების დიდებულ გეგმებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიულმა XXII ყრილობამ შეიმუშავა. ამ გზაზე დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტებია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმები, მათი გადაწყვეტილებანი ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების შესახებ, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის შესახებ.

ხათაველში უდგას რა ხალხის გიგანტურ შემოქმედებითს მუშაობას, ჩვენი კომუნისტური პარტია გულისხმიერად, მზრუნველობით ეკიდება ყოველივე ახალს, იმას, რაც ბადებს მასების შემოქმედებას, მათ კოლექტიურ გამოცდილებას. იგი ყოველმხრივ სწავლობს, თუ რამდენად ცხოველსუნარიანი, კომუნისტურია ეს სიახლე, ყველაფერს აკეთებს, რათა ფართოდ გაავრცელოს მოწინავე გამოცდილება, დადებითი მაგალითი, დაუხარომლად ამზადებს ნიადაგს კომუნიზმის ყლორტებისათვის.

ახლის, პროგრესულის გამარჯვებისათვის, ჩვენი მშენებლობის პრაქტიკაში ყოველივე საუკეთესოს დანერგვისათვის ბრძოლაში პარტია უნარიანად იყენებს იდეოლოგიური ზემოქმედების სულ სხვადასხვაგვარ საშუალებას, უწინარეს ყოვლისა იდეოლოგიური ფრონტის ისეთ დამკვრელ ძალებს, როგორიც არის პრესა, რადიო, კინო და ტელევიზია.

29 მარტის მოწინავე

ჯერ კიდევ 1918 წელს ვ. ი. ლენინმა მიგვითითა, რომ შეუწყნარებელია უგულებელყოფდეთ მაგალითის მნიშვნელობას სახალხო მეურნეობაში, და აღნიშნა, რომ პრესის ამოცანაა პირველ ადგილზე წამოსწიოს, პრაქტიკულად დააყენოს შრომის საკითხები.

„სწორედ ახლა, — წერდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი, — **უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ უამრავი არაჩვეულებრივად ძვირფასი მასალა, რაც წარმოიმის ახალი ორგანიზაციის გამოცდილების სახით მოგვეკოვება ცალკეულ ქალაქებში, ცალკეულ საწარმოებში, ცალკეულ სოფლებში, — რომ ეს გამოცდილება მასების კუთვნილება გამხადოთ**“.

შეჯიბრებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის ლენინურმა იდეებმა შემდგომი განვითარება ჰპოვა XXII ყრილობის დოკუმენტებში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებში. თანამედროვე პირობებში, როგორც აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმმა, როცა ხორციელდება ძირეული შემობრუნება სოფლის მეურნეობის ინტენსიურად წარმოების საკითხებისაკენ, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ორგანიზაციურ მუშაობას მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების წარმოებაში დანერგვისათვის.

„**მთელი ჩვენი ორგანიზატორული მუშაობის ცენტრი უნდა იყოს, — თქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — ნოვატორთა გამოცდილების, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მოწინავე ტექნოლოგიის აქტიური დანერგვა წარმოებაში**“.

როგორც ცნობილია, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ პროპაგანდის დაკვენება არ შეესაბამება კომუნისტური მშენებლობის მომწიფებულ ამოცანებს. ჩვენში პროპაგანდის პასიური ფორმა სჭარბობს. წარმოების ამა თუ იმ მეურნეობის გამოცდილების პოპულარიზაცია — გაზეთებსა და ჟურნალებში იბეჭდება სტატიები, მეცნიერება და სპეციალისტები კითხულობენ ლექციებსა და მოხსენებებს, პარტიული ორგანიზაციები იწვევენ თათბირებს, ლაპარაკობენ ამ გამოცდილებაზე, გამოდიან თვითონ ნოვატორები. ეს, რა თქმა უნდა, საჭირო და დიდმნიშვნელოვანი საქმეა. მაგრამ ასეთ პროპაგანდას არ მოჰყვება ხოლმე საჭირო ორგანიზატორული მუშაობა. ხშირად გაზეთები და ჟურნალები იფარგლებიან მოწინავეთა გამოცდილების პასიური, განმანათლებლური პროპაგანდით. ივიწყებენ მთავარს — ამ გამოცდილების ფართო დანერგვას.

პარტია მოგვიწოდებს მივმართოთ პროპაგანდის. უფრო ქმედითს, აქტიურ, შეტევითს ფორმას და დავნერგოთ ახალი, მოწინავე, ის, რაც მეცნიერებამ მოგვცა, რაც პრაქტიკამ დაადასტურა. მაგალითად, მეცნიერების მიღწევებსა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილებას მარტო პრესაში, კინოში კი არ უნდა ვუჩვენებდეთ. საჭიროა თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, თვითეულ ბრიგადაში სწორად გავანაწილოთ ადამიანები, ვასწავლოთ მათ, ვინც წარმოებაში ახალი უნდა დანერგოს, დავეხმაროთ ითვისონ ესა თუ ის მოწინავე საწარმოო პროცესი.

პრესის მოვალეობაა ყოველმხრივი დახმარება გაუწიოს ნოვატორთა გამოცდილების დანერგვას. მოწინავე მეურნეობათა მაგალითები წარმოების ორგანიზაციის ეტალონი უნდა გახდეს შესაბამის დარგებში. ამოცანა ის არის, რომ ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით დავნერგოთ შესაბამისი პროდუქციის წარმოების მოწინავე ტექნოლოგია თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში. ამ ამოცანის პრაქტიკულ გადაწყვეტას უნდა დაეკვემდებაროს ჩვენი პრესის, რადიოს, ტელევიზიის საქმიანობა.

გაზეთები მოწოდებული არიან ღრმად გაუკეთონ ანალიზი, თუ როგორ უზრუნველყოფენ ახლის, მოწინავის აქტიურ დანერგვას წარმოებაში საწარმოო საამმართველოები, პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც გარდაქმნილი არიან საწარმოო პრინციპის მიხედვით.

პარტიის მითითებანი, რომ პროპაგანდაში ნაკლოვანებები გვაქვს, რომ საჭიროა პროპაგანდა გავხადოთ უფრო აქტიური, შეტევითი, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკებმა აღიქვეს როგორც ყველაზე საბრძოლო, საარხებო ამოცანა. საქმე ეხება უწინარეს ყოვლისა ჩვენი პრესის პროპაგანდისტული და ორგანიზატორული ფუნქციების უფრო ორგანულ შეხამებას. გაზეთების გამოსვლებსაც უნდა ვაფასებდეთ იმის მიხედვით, თუ როგორია საბოლოო შედეგები, მასობრივად ვრცელდება თუ არა შრომის მოწინავე მეთოდები, რომლებსაც ეხებოდა პრესა.

არ შეიძლება შეეფერებოდეთ ისეთ მდგომარეობას, როცა გაზეთების რედაქციები მთავარ ყურადღებას უთმობდნენ გამოცდილების ჩვენებას, ამ გამოცდილების განყენებულ აგიტაციას, ნოვატორთა ქებათა-ქებას და ამავე დროს მხედველობიდან ეპარებოდათ თავიანთი გამოსვლების ქმედითობა. ასეთი მიდგომა ჩვენი პრესის ტრადიცია არ არის, საჭიროა აქტიურად ვეძებთ მოწინავე გამოცდილება, დაკვირვებით შევისწავლოთ იგი და ასევე დაბეჯითებით დავნერგოთ.

პარტიის მოწოდება, რომ საჭიროა მივმართოთ პროპაგანდის უფრო აქტიური, ქმედითს ფორმებს, დაბეჯითებით მოითხოვს შემდგომ გავაუმჯობესოთ თვით რედაქციების ორგანიზაციური მუშაობა. საჭიროა გავაუმჯობესოთ საზოგადოებრივი საწყისები პრესაში, გავაფართოოთ ურთიერთობა ავტორთა აქტივთან — წარმოების ნოვატორებთან, მეცნიერებთან, სპეციალისტებთან, პარტიულ მუშაკებთან. საბჭოთა ჟურნალისტებმა თვითონ ღრმად უნდა შეისწავლონ ეკონომიკის, წარმოების საკითხები.

თვითეულმა ბეჭდვითმა ორგანომ თავისთვის მკაფიოდ უნდა განსაზღვროს მოწინავე გამოცდილებისათვის ბრძოლის მთავარი მიმართულებანი, შეარჩიოს მოცემული ზონისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რეკომენდაციები მეცნიერებისა, ნოვატორთა წინადადებანი და მტკიცედ იბრძოლოს იმისათვის, რომ მათ იყენებდნენ თვითეულ საწარმოში და მშენებლობაზე, თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში. ამ საქმეში დახმარება შეუძლიათ პრესის მასობრივი მუშაობის ისეთ ნაკად ფორმებს, როგორიც არის მუშა და სოფლის კორესპონდენტთა რეიდები, საკონტროლო საგუშაგოები, გამსვლელი რედაქციების მოწყობა და სხვ.

გაზეთები და ჟურნალები, განსაკუთრებით საწარმოო-ტექნიკური, ანგარიშს უნდა აბარებდნენ მკითხველებს, უჩვენებდნენ თავიანთ ფურცლებზე, თუ რას მიაღწიეს მოწინავე გამოცდილების პროპაგანდაში, თუ როგორ დაინერგა იგი წარმოებაში.

საბჭოთა პრესა კვლავაც გაჰყვება ლენინურ ტრადიციებს, იგი ყოველთვის იქნება ბეჭმარიტად სახალხო ტრიბუნა, რომელიც მებრძოლურად ეხმარება თავის პარტიასა და ხალხს გადაწყვიტოს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ამოცანები, ახალი, კომუნისტური სამყაროს ადამიანის აღზრდის ამოცანები. იგი იყო და იქნება ყოველივე ახლის, მოწინავის აქტიური მებრძოლი!

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს

ამერიკაკავკასიის რკინიგზის აქტივის კრების მონაწილენი ამერიკაკავკასიის რკინიგზელთა მრავალეროვანი კოლექტივის სახელით მხურვალე სალამს უძღვნიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, მშობლიურ საბჭოთა მთავრობას, მხურვალე სალამს გიძღვნიან პირადად თქვენ, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ, ერთგულ და შეუდრეკელ ლენინელს, ხალხთა მშვიდობისა და ბედნიერებისათვის დაუცხრომელ მებრძოლს.

ჩვენ შევკრებით, რათა განვიხილოთ რკინიგზის 1963 წლის მუშაობის შედეგები და ჩვენი კოლექტივის ამოცანები ტვირთნიდვის შეიდწლიანი გეგმის ვადამდე დასამთავრებლად. მოხარული ვართ მოგახსენოთ, რომ პარტიებს რა პარტიის XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივმა გასულ წელს ასალი წარმატებები მოიპოვა. ვადაზე ათი დღით ადრე შესრულდა დატვირთვის წლიური გეგმა, გეგმის გადამეტებით გადაწყდენია რამდენიმე მილიონი ტონა სასაზონ-სამეურნეო ტვირთი. გადაჭარბებით შესრულებულია გეგმა და სოციალისტური ვალდებულებანი ყველა ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით.

1963 წლის მეორე, მესამე და მეოთხე კვარტალებში მუშაობის შედეგების მიხედვით გზის კოლექტივმა გაიმარჯვა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის თანამედროვეობის შესანიშნავი მოძრაობის — კომუნისტური შრომისათვის შეჯიბრების აქტიურ მონაწილეთა მრავალრიცხოვან რაზმს. ამიტომ გზის მუშაკთა უმრავლესობა იბრძვის კომუნისტური შრომის კოლექტივთა და დამკვრელთა საპატიო წოდებისათვის.

ყოველივე ამან უფლება მოსცა ამერიკაკავკასიის რკინიგზის კოლექტივს ჩაბმულიყო შეჯიბრებაში კომუნისტური შრომის მაგისტრალის წოდების მიღებისათვის.

ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა საკავშირო უზენაესმა საბჭოთა, საქართველოსა და სომხეთის მომმე რესპუბლიკების განვითარების გზაზე მდგომი სახალხო მეურნეობის ტვირთნიდვა, განსაკუთრებულ კონტროლს გავუწევთ სოფლის მეურნეობის, ქიმიური იდუსტრიის ტვირთებისა და დიდი ქიმიის ახალშენებათათვის განკუთვნილი მასალების გადაზიდვას.

ქიმიკოსებთან, მენავთობეებთან, მექანაბშრეებთან, მტალურგებთან, მუშახტეებთან და ყველა სხვა იმ საწარმოსა და ორგანიზაციის კოლექტივებთან თანამშრომლობით, რომლებიც დაკავშირებული არიან რკინიგზის ტრანსპორტთან, ჩვენ გულმოდგინედ ვეცდებით მივაღწიოთ გადასაზიდ სამუალებათა საუკეთესო ექსპლოატაციას, შინაგანი რეზერვების მაქსიმალურად გამოყენებას. ჩვენ კვლავაც დავნერგავთ ახალ ტექნიკას, წარმოების მექანიზაციას, ავტომატიზაციას, მუშაობის მოწინავე მეთოდებს და ვეცდებით ყოველი ღონისძიებით გავავდიდოთ შრომის ნაყოფიერება და შევამციროთ ტვირთზიდვის თვითღირებულება.

დგება მეზავრთა გადაყვანის ზაფხულის პერიოდი. ეს გვავალებს ჩვენ — ამიერკავკასიის მაგისტრალის რკინიგზელებს, რომელიც სრულიად საკავშირო ჯანმრთელობის კერების ზონაში გადის, სანიმუშოდ მოვაწყოთ მგზავრთა მომსახურება ვაგზლებსა და მატარებლებში.

აქტივის კრების მონაწილენი სიტყვას აძლევენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ღენინურ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სიტყვას გაძლევენ პირადად თქვენ, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ, რომ აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის მომმე რესპუბლიკების რკინიგზელები, ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით, ყველაფერს გაკეთებენ, რათა შეასრულონ ტვირთზიდვის სახელმწიფო გეგმა და კომუნისტური შრომის მაგისტრალის წოდების მიღებისათვის შეჯიბრებაში ნაკისრი ვალდებულებანი, თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

მიღებულია ამიერკავკასიის რკინიგზის აქტივის კრებაზე.

1964 წელი, 27 მარტი.

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია მოკმე უნგრეთში გაემგზავრა

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის მიწვევით 29 მარტს საღამოს მოსკოვიდან უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით გაემგზავრა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით.

კიევის ვაგზალზე, რომელიც მორთული იყო საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით, დელეგაცია გააცილეს მოსკოვის საწარმოებისა და მშენებლობების მრავალმა წარმომადგენელმა, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებმა, მოსწავლე ახალგაზრდობამ. ვაგზალზე მოგიდნენ სსკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები, სსკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის კანდიდატები, სსკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირისა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრები, დედაქალაქისა და მოსკოვის ოლქის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, აგრეთვე სხვა ოფიციალური პირები.

ვაგზალზე იყვნენ აგრეთვე სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობათა მეთაურები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

გამცილებლები გულთბილად გამოეშშვიდობნენ ნ. ს. ხრუშჩოვსა და დელეგაციის წევრებს, ბედნიერი მგზავრობა უსურვეს მათ. (საკდესი).

კიევი, 30 მარტი. (საკდესი). დღეს დილით სპეციალური მატარებელი, რომლითაც მოსკოვიდან უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში მიდის საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით, ცოტა ხანი გაჩერდა უკრაინის დედაქალაქში.

კიევის ვაგზალში ნ. ს. ხრუშჩოვსა და დელეგაციის წევრებს გულთბილად მიესალმნენ უკრაინის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები ი. პ. კალნაიგი, დ. ს. კორეტსკი, ნ. ა. სობოლი და სხვები. ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვსა და დელეგაციის წევრებს მათ უსურვეს ბედნიერი მგზავრობა.

ჟურნალ „მნათობის“ რედაქციას

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ულოცავს ჟურნალ „მნათობის“ რედაქციის კოლექტივს, ავტორებსა და მკითხველებს მის სახელოვან 40 წლისთავს.

მთელი ამ წლების მანძილზე „მნათობი“ საქართველოს მწერალთა კავშირის ერთგული თანაშემწეა ქართული საბჭოთა ლიტერატურის აყვავებისათვის, მალალმხატვრული ნაწარმოებების შექმნისათვის ბრძოლაში, რომლებიც სწორად ასახავენ ჩვენს სოციალისტურ სინამდვილეს, დიდ გარდაქმნებს საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგში, რაც საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოხდა.

მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის მდიდარ ტრადიციებზე დაყრდნობით ჟურნალი „მნათობი“ თავისი დაარსების დღიდან თანამიმდევრულად იცავს სოციალისტური რეალიზმის, ლიტერატურის პარტიულობისა და ხალხურობის პრინციპებს. შეურიგებლად ებრძვის ანოლტიკურობის, ფორმალიზმისა და უიდეობის ყოველგვარ გამოვლინებას მხატვრულ შემოქმედებაში.

ჟურნალ „მნათობის“ 40 წლისთავი აღინიშნება საყოველთაო-სახალხო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ღირსშესანიშნავ ვითარებაში, რაც გამოწვეულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებებით, იგი ემთხვევა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელების შეხვედრის წლისთავს, რომელიც შემოქმედებითი სტიმული გახდა ახალი მხატვრული ნაწარმოებების შექმნისათვის, სადაც აისახა საბჭოთა ადამიანის — კომუნიზმის მშენებლის შრომითი გმირობა და ხასიათი სილამაზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს რწმენას, რომ ჟურნალი „მნათობი“ კვლავაც ერთგული იქნება საბჭოთა პრესის ხასიათოვანი ტრადიციებისა, სოციალისტური რეალიზმის პრინციპებისა, ხელმძღვანელობს რა სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებითა და პარტიის პროგრამით, იგი აღზრდის მშრომელებს საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის, ჩვენი დიადი სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲔᲑᲨᲘ

სოფლის გაგაფხული

ᲣᲕᲐᲠᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ

ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ სამმართველოს ყველა კოლმეურნეობა შეუდგა საგაზაფხულო კულტურების შერჩევით თესვას. უკვე დათესილია 1.000 ჰექტარზე მეტი. **ენინელის** კოლმეურნეობაში თესვა გაჩაღდა. დღემდე დათესეს 130 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები. **ახალსოფლის** მარჯანიშვილის სახელობის კოლმეურნეობამ დათესა 50 ჰექტარი, აქედან 20 ჰექტარი სიმინდი. ამავე სოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობას დათესილი აქვს 15 ჰექტარი სიმინდი, სულ კი 60 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები.

სიმინდის თესვას შეუდგა სოფელ **შრომის** კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძი“. აქ დათესილია 16 ჰექტარი ბარდა, 31 ჰექტარი მრავალწლიანი ბალახები, ითესება საკვები ძირხვენები, ქერი, ბოსტნეული...

ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. **გ. კავთიაშვილმა** გვაცნობა, რომ რაიონში სულ დაითესება 10.042 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები. ამ დღეებში მზნიანი ამინდი დგას. მხვნელ-მთესველები მინდვრად არიან გასულნი და ენერგიულად შრომობენ. ამის შედეგად საგაზაფხულო ხორბლის თესვის დავალება გადაჭარბებით შესრულდა. დათესილია 300 ჰექტარი ნაცვლად 266 ჰექტარისა.

საგაზაფხულო ქერი უნდა დათესოს 2.266 ჰექტარი. უკვე დათესილია 2.000 ჰექტარზე მეტი. 165 ჰექტარის ნაცვლად დათესილა 170 ჰექტარი ბარდა. შაქრის ჭარხალი დათესილია 526 ჰექტარზე მეტი. **მეტეხის** კოლმეურნეობამ „სიმინდის ბარდა, ყველა კულტურის თესვის დავალება შეასრულა. **ძალისის** კოლმეურნეობაში დათესილია 60 ჰექტარი ქერი ნაცვლად 50 ჰექტარისა. გადაჭარბებით განაღდებულია შაქრის ჭარხლის თესვის დავალებაც. **ახალქალაქის** კოლმეურნეობამ დათესა 83 ჰექტარი ქერი ნაცვლად 70 ჰექტარისა.

ზატაბარის საბჭოთა მეურნეობას უნდა დათესა 100 ჰექტარი ქერი. გეგმა შესრულებულია. ბარდა 10 ჰექტარის ნაცვლად დათესეს 31 ჰექტარი. გეგმის გარეშე დათესილია 30 ჰექტარი შაქრის ჭარხალი. თესვა გაჩაღებულია **ოკამისა** და **კოდისწყაროს** საბჭოთა მეურნეობებში, **მუხრანის**, **ზემო ხანდაკის**, **ხოვლეს** და სხვა კოლმეურნეობებში.

ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ

—**ᲬᲔᲚᲘ** საგაზაფხულო კულტურების თესვისათვის კარგად მოემზადნენ რაიონის მეხვნელ-მთესველები, — განაცხადა საუბარში **დუშეთის** საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. **ა. შადურმა.** — შარშან 30 მარტისათვის რაიონში დათესილი იყო მხოლოდ 64 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები, წელს დათესილია 350 ჰექტარზე მეტი. აქედან თავთავიანი მარცვლეული კულტურები — 280 ჰექტარი. შაქრის ჭარხალი დათესილა 46 ჰექტარი, კარტოფილი — 25 ჰექტარი.

სოფლის მეურნეობის მშრომელებმა პირობა დადეს, რომ საგაზაფხულო კულტურების თესვას, გარდა სიმინდისა, დაამთავრებენ 2 აპრილამდე. წელს დათესება სულ 4.597 ჰექტარზე მეტი საგაზაფხულო კულტურები, აქედან სიმინდი — 3.500 ჰექტარი, სიმინდის დასათესად ნიადაგი მზად არის, საკმაო რაოდენობით მომარაგებულია კონდიციური თესლი. სიმინდის თესვა 10-15 აპრილიდან გაჩაღდება.

საგაზაფხულო კულტურების თესვაში დაწინაურდნენ **ბაზალეთის**, **მჭადიჯვრის**, **ლაფანაანთკარის**, **ხეობის**, **გრემისხევის** და სხვა კოლმეურნეობები.

ᲒᲣᲒᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ

ალაზნის ველზე მზიანი დღეებია. ბუნება იღვიძებს. მხვნელ-მთესველებმა შვიდწლედის მეექვსე წლის სიუხვისათვის ბრძოლა გააჩაღეს. იყალთოს (თელავის რაიონი) რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის ველ-მინდრებში განუწყვეტლივ გუგუნებენ ტრაქტორები. საადრეო კულტურების თესვა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. მზესუმზირა ოც ჰექტარზე უნდა დათესოს, ფაქტიურად 30 ჰექტარზე დათესეს, ხოლო ჭარხალი — 10 ჰექტარზე.

ა. არსენაშვილი.

ᲛᲔᲒᲔᲡᲣᲛᲔᲖᲘᲠᲐ, ᲑᲐᲠᲓᲐ, ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲘ...

ᲐᲮᲛᲔᲢᲘᲡ რაიონის სოფლის მეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წარმატებით მიმდინარეობს საგაზაფხულო სამუშაოები. კოლმეურნეობების უმრავლესობამ დაამთავრა მზესუმზირას, ბარდისა და საადრეო ბოსტნეულის თესვა. მატნის კოლმეურნეობამ ნაცვლად 25-სა დათესა 24 ჰექტარი მზესუმზირა, 5 ჰექტარი ხაჰვი და 12 ჰექტარი ჭარხალი. მაღრაანის კოლმეურნეობამ დაამთავრა ბარდის თესვა 20 ჰექტარზე. ბოსტნეულის თესვა დაამთავრეს ქრისტაურის, ახმეტისა და ოფიოს კოლმეურნეობებმა.

ბ. ასათიანი.

ᲣᲞᲐᲢᲐᲙᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ კომიტეტის მდივანმა ამხ. **ნ. ჩხოლარიამ**, საწარმოო სამმართველოს უფროსმა **გ. ჯელაიმ** რედაქციას აცნობეს: **გეგეჭკორის** საწარმოო სამმართველოს მშრომელებმა 26 მარტისათვის გადაჭარბებით შესრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმები. სახელმწიფოსათვის მიყიდულია 2.570 ცენტნერი ხორცი ნაცვლად 1.870 ცენტნერისა, 3.102 ცენტნერი რძე ნაცვლად 3.100 ცენტნერისა, 380.000 ცალი კვერცხი ნაცვლად 331.000 ცალისა.

სახელმწიფოსთვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვა გრძელდება.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ სართავ-სატრაქტორო კომბინატის კოლექტივი, რომელიც რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა მწყობრში დგას, ენერგიულად მუშაობს შვიდწლედის მეექვსე წლის დავალებათა ვადამდე განაღდებისათვის. ფეიერვერკებითა და ბანდერებით შესრულეს პირველი კვარტალის დავალება და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს დიდძალი ნარი და რამდენიმე ათეული ათასი ცალი ტრაქტორის ნაწარმი. კომბინატის საამქროებს შორის ერთ-ერთი მოწინავეა საქსოვი საამქრო. აქ ბევრი ჰყავთ მოწინავე მქსოველი, მაგრამ მერი ხმალაძეს და ნელი ბერიაშვილს ეერავინ შეედრება, ისინი ყოველდღიურ დავალებას 110 პროცენტით ასრულებენ და მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას იძლევიან.

სურათზე: მ. ხმალაძე (მარჯვნივ) და ნ. ბერიაშვილი ამოწმებენ ჭიოვლის ხარისხს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲔᲑᲨᲘ

სოფლის გაგაფხული

ᲣᲕᲐᲠᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ

თესვის ფრონტიდან

ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ სამმართველოს ყველა კოლმეურნეობა შეუდგა საგაზაფხულო კულტურების შერჩევით თესვას. უკვე დათესილია 1.000 ჰექტარზე მეტი. **ენინელის** კოლმეურნეობაში თესვა გაჩაღდა. დღემდე დათესეს 130 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები. **ახალსოფლის** მარჯანიშვილის სახელობის კოლმეურნეობამ დათესა 50 ჰექტარი, აქედან 20 ჰექტარი სიმინდი. ამავე სოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობას დათესილი აქვს 15 ჰექტარი სიმინდი, სულ კი 60 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები.

სიმინდის თესვას შეუდგა სოფელ **შრომის** კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძი“. აქ დათესილია 16 ჰექტარი ბარდა, 31 ჰექტარი მრავალწლიანი ბალახები, ითესება საკვები ძირხვენები, ქერი, ბოსტნეული...

ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. **გ. კავთიაშვილმა** გვაცნობა, რომ რაიონში სულ დაითესება 10.042 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები. ამ დღეებში მზნიანი ამინდი

ᲒᲣᲒᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ

ალაზნის ველზე მზიანი დღეებია. ბუნება იღვიძებს. მხვნელ-მთესველებმა შვიდწლედის მეექვსე წლის სიუხვისათვის ბრძოლა გააჩაღეს. იყალთოს (თელავის რაიონი) რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის ველ-მინდრებში განუწყვეტლივ გუგუნებენ ტრაქტორები. საადრეო კულტურების თესვა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. მზესუმზირა ოც ჰექტარზე უნდა დათესოს, ფაქტიურად 30 ჰექტარზე დათესეს, ხოლო ჭარხალი — 10 ჰექტარზე.

ა. არსენაშვილი.

ᲠᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲯᲘᲚᲓᲝ

საავიაციო ტექნიკის შექმნის დარგში დამსახურებისათვის, დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით თვითმფრინავების გენერალური კონსტრუქტორი ამხ. ვ. ი ლ ი უ შ ი ნ ი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააჯილდოვა ლენინის ორდენით.

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲠᲔᲚᲘᲥᲕᲘᲐ

ᲚᲔᲜᲘᲜ�გᲠᲐᲓᲘ, 28 მარტი. (საკდესის კორ.). სწორკუთხა ნაგებობა ლითონის კარკასით შეკავშირებული სარკესებრი მინის კედლებით, დაიკავებს საბჭოთა ხალხისათვის ძვირფას რელიკვიას — პატარა ძველებურ ორთქმლავალ № 293. ამ ორთქმლავლით 1917 წლის ზაფხულში, ემალებოდა რა დროებითი მთავრობის კონტრრევოლუციური აგენტების დევნას, ვ. ი. ლენინი რაზლივიდან ფინეთში გადმაგზავრა, ხოლო იმავე წლის შემოდგომაზე დაბრუნდა პეტროგრადში, რომ ხელმძღვანელობა გაუწიოს ოქტომბრის აჯანყებას.

ორთქმლავალი დიდხანს იყო ფინეთში. 1957 წელს, როდესაც ფინეთში სტუმრად იყო საბჭოთა მთავრობის მეთაური ნ. ს. ხრუშჩოვ

კომუნისტური შრომის მაგისტრალის წოდებისათვის

ამიერკავკასიის რკინიგზის აქტივის კრება

ძვირფასი ინდუსტრიის დაჩქარებული განვითარებისა და სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის პროგრამა, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმებმა მიიღეს, გადიდებულ მოთხოვნებს უყენებს რკინიგზის ტრანსპორტს; საჭიროა შევასრულოთ სულ უფრო მზარდი ტვირთნაზიდვა დიდი ქიმიის მშენებარე ობიექტებისათვის, დროზე უზრუნველყოთ ნედლეულის მიწოდება ქარხნებისათვის და მინერალური სასუქებისა — კოლმეურნეობებისა და სახმეურნეოებისათვის, ამას გარდა, უნდა მოვემზადოთ და სანიმუშოდ განვახორციელოთ მარცვლეულის, ბოსტნეულისა და ახალი მოსავლის სხვა სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადაზიდვა.

ეს საკითხები იყო სწორედ მთავარი თემა ამიერკავკასიის რკინიგზის აქტივის კრებაზე, რომელიც 27 მარტს გაიმართა.

ხაჭართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის რკინიგზის ყველა განყოფილების და სამსახურის, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, საავტომობილო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის ხელმძღვანელი მუშაკები, მეცნიერები.

კრების მუშაობაში მონაწილეობისათვის ჩამოვიდნენ სსრ კავშირის გზათა მინისტრი ბ. პ. ბეშჩევი და რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ე. ტ. ჩეკალინი. აქვე არის ბალტიისპირეთის რკინიგზის დელეგაცია, რომლის კოლექტივსაც ეჯიბრებიან ამიერკავკასიის მაგისტრალის მშრომელები.

კრების მონაწილეებმა უდიდესი აღმავლობით აირჩიეს კრების საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით.

მოხსენებისათვის „1963 წლის მუშაობის შედეგები და 1964-1965 წლების ამოცანები“ სიტყვა ეძღვნა ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსს ბ. ძაბაბიძეს.

საბჭოთა რკინიგზელების ერთსულოვან ოჯახში, ამბობს ამხ. გ. ქოდაგიძე, კარგად შრომობს ამიერკავკასიის მაგისტრალის მრავალეროვანი კოლექტივი. დატვირთვის წლიური გეგმა 21 დეკემბერს შესრულდა, გეგმის გადამეტებით დატვირთულია სამ მილიონამდე ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი. 1962 წელთან შედარებით ვაგონის ბრუნვა 10,6 საათით დაჩქარდა.

რკინიგზის კოლექტივმა გასული წლის შუა თვეებში სხვოვნა გზათა სამინისტროს გადაესინჯა და დაჩქარებისა ვაგონის ბრუნვის წლიური ნორმა. ამ თაოსნობამ, რომელიც დიდ ეკონომიურ ეფექტს იძლევა, მაღალი შეფასება დაიმსახურა, ამას მიბაძავ ჩვენი ქვეყნის ბეჭრმა სხვა რკინიგზამ.

შრომის ნაყოფიერების ფაქტიურმა ზრდამ 1963 წელს შეადგინა 4,9 პროცენტი ვაღდებულებით გათვალისწინებული 2,6 პროცენტის ნაცვლად. ტვირთნაზიდვის თვითღირებულება დაეკანონებასთან შედარებით 1,8 პროცენტით შემცირდა.

რკინიგზის კოლექტივმა 1963 წლის მეორე, მესამე და მეოთხე კვარტალში პირველობა მოიპოვა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მას მიეკუთვნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს, აგრეთვე გზათა სამინისტროსა და რკინიგზელთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშები.

მატარებელთა წესის დროს ელექტროენერგიის მაქსიმალური ეკონომიის უზრუნველყოფისათვის საქართველოს რკინიგზელთა კოლექტივს სამი კვარტალი ზედიზედ ეხიბლება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს გარდამავალი წიოელი დროშა.

კოლექტივის მუშაობის დადებითს შედეგებს ხელი შეუწყო რკინიგზის განსხვავებულმა, რომაც ახალი შესაძლებლობანი დასახა სატრანსპორტო კავშირის რაციონალიზაციისათვის, ამიერკავკასიის ეკონომიურ რაიონში, რეზერვების უკეთ გამოყენებისა და მთელი საექსპლოატაციო მუშაობის დონის ამაღლებისათვის, აგრეთვე რკინიგზელთა დისციპლინის, შემოქმედებითი აქტივობის გადიდებისა და ინიციატივის, რომ ფართოდ გაიშალოს შეჯიბრება კომუნისტური შრომისათვის.

მაგრამ, ხაზგასმით აღნიშნა ამხ. გ. ქოდაგიძემ, დღეს ჩვენ მთელი ყურადღება, უმთავრესად, უნდა მივაყოროთ იმას, რომ გადაეკრიათ მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანები, აღმოვფხვრათ არსებული ნაკლოვანებები, გამოვავლინოთ და გამოვიყენოთ ახალი რეზერვები.

მომხსენებელმა გააანალიზა სადგურების მუშაობა და დაასკვნა, რომ ვაგონების მოცდენა უშუალოდ სატვირთო ოპერაციებისათვის დიდი არ არის, უმთავრესად დრო იკარგება ეგრეთწოდებულ ოპერაციათაშორის შესვენებებზე. არ არის აღმოფხვრილი ვაგონების-ზენორმატიული მოცდენა საწარმოთა მისასვლელ გზებზე. ნორმით გათვალისწინებული 3,4 საათის ნაცვლად, თვითეული ვაგონი საშუალოდ ცდებოდა 5 საათს.

ყველა სახეობის ლოკომოტივისათვის ნაშუალო სადღეღამისო გარბენის ნორმები 1963 წელს გადაჭარბებით შესრულდა და ახლაც გადაჭარბებით სრულდება. მაგრამ აქ, ისევე როგორც ვაგონებს გამოყენებაში, რეზერვები თვით ნორმებშია. განყოფილებების მოძრაობის სამსახურთა და განყოფილებათა ამოცანა არა მარტო ოპერატიულად უზრუნველყონ ლოკომოტივების ყოველდღიური გამოყენებას, არამედ გამოიტანონ და გაანალიზონ ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც აღმოფხვრიან არსებულ ნაკლოვანებებს და შესაძლებელს გახდიან მკვეთრად გადიდდეს ლოკომოტივების მარგი მუშაობა. თავიანთ მუშაობაში მოძრაობის მუშაკები უნდა დაეყრდნონ მოწინავეთა გამოცდილებას. საჭიროა განსაკუთრებით აღინიშნოს ბალაჯარის სადგურის მემანქანე დისპეტჩერის ა. რაჯაბოვის შემოქმედებითი ინიციატივა, რომელმაც მოიწყო შემადგენლობათა პარალელური ფორმირება და მატარებელთა დოკუმენტების მომზადება.

შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რკინიგზაზე შეიქმნა ცუდი მდგომარეობა სამგზავრო მატარებელთა მოძრაობის გრაფიკის შესრულებაში. გასულ წელს დაგვიანებით გაიგზავნა 60 სამგზავრო და 628 საგარეუბნო მატარებელი, ხოლო გზაში დაიგვიანა 759 სამგზავრო და 1.376 საგარეუბნო მატარებელმა. მეტწილად ჩამორჩებიან თბილისისა და აზერბაიჯანის განყოფილებათა მუშაკები. ეს იმით აიხსნება, ფომ ცალკეული ხელმძღვანელები ჯერჯერობით ვერ აფასებენ მატარებელთა მოძრაობის გრაფიკის მნიშვნელობას, ვერ აანალიზებენ მატარებელთა განრიგის ფაქტიურ მიზეზებს, არ იღებენ ღონისძიებებს ამის აღმოსაფხვრელად.

გასულ წელს კიდევ უფრო ამაღლდა დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაციის დონე, მაგრამ მდგომარეობა კვლავ არადამაკმაყოფილებელია. ამოცანა უპირველეს ყოვლისა ის არის, რომ ყოველი ღონისძიებით გავაუმჯობესოთ მექანიზმების არსებული პარკის გამოყენება. კომერციული მუშაობის ძირითადი ნაკლია ტვირთის დატაცების, დანაკლისისა და გაფუჭების შემთხვევები. განყოფილებათა უფროსებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ კომერციულ მუშაობას და განახორციელონ ყველა ღონისძიება, რომ უზრუნველყონ უნენელი ტვირთნაზიდვა, გაუმჯობესონ სატვირთო და კომერციულ მუშაკთა კადრების შერჩევა, განაწილება, მათი კვალიფიკაციის ამაღლება და აღრზდა.

საექსპლოატაციო მუშაობის დონის ამაღლებისა და ხარისხის გაუმჯობესების ამოცანა მჭიდროდ დაკავშირებულია რკინიგზელთა დისციპლინის განმტკიცებასთან და მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან. ყოველი ღონისძიებით უნდა გავაძლიეროთ მუშაობა ამ დარგში და მტკიცედ, თანდათანობით მიეღწიოთ დარღვევათა აღმოფხვრას. მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის ბრძოლა ჩვენი უმნიშვნელოვანესი საქმეა და ჩვენ მოვალენი ვართ ამას მოვანმაროთ მთელი ძალღონე, არ შევანელოთ ყურადღება არც ერთი წუთით.

გასული წლის მგზავრთა სახაფხულო გადაყვანის გეგმა რკინიგზის კოლექტივმა დამაკმაყოფილებლად შეასრულა, მაგრამ ნაკლოვანებანი ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს. ახლოვდება მუშაობის ყველაზე დაძაბული პერიოდი — მგზავრთა სახაფხულო გადაყვანის სეზონი. კიდევ უფრო მაღალ დონეზე რომ უზრუნველყოთ იგი, საჭიროა გულდასმით და ყოველმხრივ მოვამზადოთ მეურნეობა.

გასული წელი იყო წელი, როცა კიდევ უფრო დაინერგა რკინიგზის მეურნეობის ყველა დარგში ახალი ტექნიკა, საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია და მექანიზაცია. მაგრამ საქმე მოითხოვს გამოვიჩინოთ კიდევ მეტი ინიციატივა და გულმოდგინება. ისეთი ტექნიკის დანერგვა, როგორიც არის, ეთქვათ, ისარის ელექტროცენტრალიზაცია, ბევრად ჩამორჩება სხვა გზებს, ხოლო ელექტროფიკაციის ტემპი მკვეთრად შემცირდა. მეტად დიდმნიშვნელოვანი საკითხია სანგარიშო-ამოსახსნელი ტექნიკის დანერგვა პრაქტიკაში.

სალოკომოტივო მეურნეობის მუშაკებმა 1964 წელს მთელი თავიანთი ყურადღება უნდა მიაქციონ ლოკომოტივების რემონტისა და მოვლის ხარისხის მტკიცედ გაუმჯობესებას, უნდა გააძლიერონ მეურნეობის ყოველმხრივ მომზადება პროგრესულ სახეობათა წესის შემდგომი დანერგვისათვის.

შარშან რკინიგზაზე ელექტროწესვაზე იყო გადაყვანილი აქსტაფა-ქიროვაბადისა და რახნან-სევანის უბნები; სუტრამის ელექტეხილზე ათვისებულია ვლ-8 ელმავლები; თბილისელის წესვა დაინერგა აზერბაიჯანის ზოგიერთ უბანზე და კახეთის შტოზე. მიმდინარე წელს ბალაჯარის დეპოს თბილისელი მოემსახურება მატარებლებს უკვე კიროვაბადამდე. ელექტროწესვაზე იქნება გადაყვანილი მასის-ერევნისა და ნავთლუღ-კაკრეთის უბნები. გადიდდება საჭანეგრო თბილისელების პარკი. ყოველივე ეს მოითხოვს ლოკომოტივის ბრიგადების დროზე მომზადებას და სარემონტო ბაზის, უწინარეს ყოვლისა ბალაჯარის, ყარაფინლოსა და თბილისის დეპოების შესაბამის ტექნიკურად აღჭურვას.

რკინიგზის კოლექტივის წინაშე მდგომი დიდი ამოცანები შეიძლება წარმატებით გადაიჭრას მხოლოდ კადრებთან მუშაობის გახუნყვეტელი გაუმჯობესების საფუძველზე. ჩვენი ამოცანაა დაუფლებოდეთ ხელმძღვანელ თანამდებობებზე დაწინაურებულ მუშაკებს, და კვლავაც ფართოდ დავაწინაუროთ ახალგაზრდა კადრები, უნარიანად შეეუხამოთ მათი ენერგია. ძველი სპეციალისტების გამოცდილებასა და ცოდნას.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში, პოლიტეხნიკური და რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის გაერთიანების შემდეგ ოთხმის შეუყდა რკინიგზის კადრების შეგსება ახალგაზრდა სპეციალისტებით. ამიტომ საჭიროა გადაიჭრას ის საკითხი, რომ სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის ტრანსპორტის ფაკულტეტის ბაზა გამოვიყენოთ აღიერკავკასიის რკინიგზისათვის საჭირო პროფილის სპეციალისტთა მოსამზადებლად.

თავისი მოხსენების დასასრულს ამხ. გ. ქოდაგიძემ გამოთქვა რწმენა, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივი შეასრულებს თავის მოვალეობას სამშობლოს წინაშე და ღირსეულ წელილს შეტანს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების შენებლობის საქმეს.

მოხსენების განხილვა დაიწყო რკინიგზის აზერბაიჯანის განყოფილების უფროსის ა. ბაგიროვის განსოლეთი.

ასრულებს რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებებსა და ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მითითებებს რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირზე, განყოფილების კოლექტივმა ვადამდე, 21 დეკემბრისათვის შეასრულა შეიდწლედის მეხუთე წლის ტვირთნაზიდვის გეგმა და გეგმის გადამეტებით გაგზავნა ასობით ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი, აქედან 370 ათასი ტონა ნავთობი და ნავთობპროდუქტები. ტონა-კილომეტრობით ტვირთბრუნვის ზიხედვით განყოფილება 1963 წელს გამოვიდა 1965 წლის დონეზე.

ვადამდე შესრულდა სახელმწიფო დავალებანი მიმდინარე წლის პირველ კვარტალშიც. გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით ვაგონების ბრუნვა დაჩქარდა 7,2 საათით, სატვირთო მატარებლების საუბნო სიჩქარე გაიზარდა 2,8 კილომეტრით საათში. უფრო ზუსტად სრულდება მატარებელთა მოძრაობის გრაფიკი.

გასულ წელს დიდი მუშაობა შესრულდა განყოფილების საწარმოთა ტექნიკური აღჭურვის გაუმჯობესებისათვის, ზოგიერთი უბნის ელექტრიფიკაციისა და ავტობლოკირებისათვის. საექსპლოატაციოდ გადაეცა ბაქო-კასპნოვოდსკის ბორნის გზა. კასპიის ზღვის საშუალებით ტვირთნაზიდვის დაჩქარებასთან ერთად იგი ხელს უწყობს კავშირის განმტკიცებას ამიერკავკასიისა და შუა აზიის მოძმე რესპუბლიკებს შორის.

მიუხედავად ამისა, განაცხადა ამხ. ბაგიროვმა, განყოფილების ტექნიკური აღჭურვის საქმეში ჯერ კიდევ გადაუჭრელია მთელი რიგი აქტუალური საკითხები. ძირძოდ, საჭიროა დაჩქარდეს კეროვაბადბაქოს უბნის ელექტრიფიკაცია. ნოძრაავ შემადგენლობის ნაკლოვანებანი ნავთობის სამინისტროსა და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით 1963 წლის ოთხი კვარტალის სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის.

სასოფლო-სამეურნეო ტვირთისა და ქიმიური ინდუსტრიის პროდუქციის გადაზიდვის გაუმჯობესება თითოეული რკინიგზელის ღირსი საქმედ გადაიქეა.

ახალი ელექტროფიცირებული უბნების, ნავთლუღი-ალაგირდის, ერევანი-სევანის ამოშავებამ და მასის-ერევნის უბნის ელექტროფიკაციამ, რომელიც მალე დამთავრდება, მნიშვნელოვან გზაზრდეს განყოფილების ტექნიკური აღჭურვილობა, პირობები შექმნეს სახალხო-სამეურნეო ტვირთის დაჩქარებული გადაზიდვისათვის.

მაგრამ, ხაზგასმით აღნიშნა ამხ. სტეპანიანმა, სომხეთის რკინიგზელები დიდ სიძნელეებს განიცდიან იმასთან დაკავშირებით, რომ რკინიგზის ლენინაკანი-მასისის შედარებით პატარა უბანზე ჯერ კიდევ ვიყენებთ ორთქლმავლის წევას. ნორმალურ საექსპლოატაციო მუშაობას ხელს უშლის აგრეთვე ის, რომ მასის-ნორაშენის ეუწყო უბანზე არ არის საბობოლეკი ორეკა.

ამხ. სტეპანიანმა იმედი გამოთქვა, რომ ეს საკითხები უახლოეს დროში წარმატებით გადაიჭრება, და შეიტანა მთელი რიგი კონკრეტული წინადადებანი, რომელთა განხორციელება გაუუმჯობესებს ლოკომოტივების გამოყენებას და მოგვცემს დიდ ეკონომიურ ეფექტს.

ძირძოდ, საჭიროა ერევნის დეპოს ორთქლმავლები ჯულფამდე მიდიოდნენ ისე, რომ გაუქმდეს მოსაბრუნებელი პუნქტი ნორაშენის სადგურში, ხოლო ლენინაკანი-ნავთლუღის უბანს ემსახურებოდეს როგორც ლენინაკანის ისე თბილისის დეპოს ელმავლები.

ᲨᲠᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ თბილისის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე **დ. ილურიძე.** იგი კრების მონაწილეებს მიესალმა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი საელმავლო დეპოს კოლექტივის სახელით და დიდი გატაცებით უამბო მათ მეელმავლეთა სახელოვანი შრომითი წარმატებანი, უამბო, რომ ისინი ფართოდ იყენებენ სარეკუპერაციო დამუხრუჭებას და აღწევენ ელექტროენერგიის დიდ ეკონომიას, ელმავლების რაც შეიძლება მეტად მწარმოებლურ გამოყენებას.

ამხ. ილურიძემ ხაზი გაუსვა, რომ ბევრი მემანქანე, რომლებსაც საშუალო ტექნიკური განთლება აქვთ, სურვილს აცხადებს განაგრძოს სწავლა უმაღლეს სასწავლებლებში წარმოების მოუწყვეტლივ, და თქვა, რომ საჭიროა შეიქმნას რკინიგზის ტრანსპორტის ინსტიტუტის ამიერკავკასიის ერთიანი დაუსწრებელ ფილიალი.

სიტყვა წარმოთქვა სოხუმის ვაგონების ტექნიკური შემოწმების პუნქტის ოსტატმა **ნ. გოროდინსკიმ** — მან დიდი ყურადღებდ დაუთმო ზაფხულში მგზავრების გადაყვანისათვის მზადებას, თქვა, რომ დიდ საკურორტო სადგურში აუცილებელია მოეწყოს თეთრეულის ბანა სამგზავრო მატარებლების უკეთესი და დროული ეკიპირებისათვის, აიგოს აქ ელექტრო და რადიო-საამქროები სამგზავრო ვაგონების მოწყობილობის რემონტისათვის.

სანტიტარული იყო სადგურ ბალაჯარის უფროსის თანაშემწის **ა. რაჯაბოვის** სიტყვა. მან დამსწრეთ გაუზიარა ვაგონების მოცდენის შემცირებისათვის, მუშობაში წუნის შემთხვევების აღმოფხვრისათვის, სოციალისტურ ვალდებულებათა მტკიცე შესრულებისათვის ბრძოლის მოწინავე გამოცდილება.

ერთსულოვანი ტაშით შეხვდნენ კრების მონაწილენი ბალტიისპირეთის მაგისტრალის რკინიგზელთა დელეგაციის ხელმძღვანელს, რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის თავმჯდომარეს **ა. სარაევს.**

— ძვირფასო ამიერკავკასიელო მეგობრებო, — თქვა მან. — ჩვენ აქ ჩამოვედით, რომ გაგიზიაროთ მუშაობის გამოცდილება, ამიერკავკასიის მაგისტრალის ნოვატორებისაგან დაგალეოთ ყოველივე ძვირფასი, მოწინავე და პროგრესული, რაც წარმოიშვა საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, ლატვიის ლიტვის, ესტონეთის მოძმე რესპუბლიკებისა და კალინინგრადის ოლქის რკინიგზელთა საბრძოლო შეჯიბრებაში. ეს შეჯიბრება კარგ ხეგავლენას ახდენს ჩვენ, გამსხვავებული მაგისტრალების საექსპლოატაციო მუშაობის დონის ამაღლებაზე. ამ შეჯიბრების განვითარებით და გაფართოებით ჩვენ კიდევ უფრო მნიშვნელოვან წარმატებებს მივიღწევთ მუშობაში.

რკინიგზის თბილისის განყოფილების უფროსმა **დ. ბერიძემ** დაწერილებით საყურადღებო პუნქტების შექმნისათვის. ეს, როგორც იტყვიან, დიდი სარკინიგზო ყამირია და, იგი უნდა გავტეხოთ.

ორატორმა ილაპარაკა ნაკლოვანებებზე მატარებლებსა და სადგურებში მგზავრების მომსახურებაზე, რკინიგზის რესტორანებში სამეწილის დაბალ ხარისხზე, ყველაფერი ეს სუსტი იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის შედეგია. არსებითი ნაკლოვანებებია აგრეთვე ინჟინერ-ტექნიკოსთა კადრების განაწილებისა და გამოყენების საქმეში. მაგალითად, რკინიგზა სანახევროდაა უზრუნველყოფილი ეკონომისტებით, მაშინ როცა 21 ეკონომისტი და 13 პედაგოგი მუშაობენ სამგზავრო ვაგონების გამყოლად, გამყიდველად.

ორატორმა რწმენა გამოთქვა, რომ მაგისტრალის კოლექტივი შესძლებს არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას და თავს გაართმევს გაზრდილ ამოცანებს.

სამანევრო მუშაობისა და ლოკომოტივთა დიდმწარმოებლური გამოყენების საკითხებს მიუძღვნა თავისი სიტყვა ერევნის სადგურის მატარებელთა შემდგენელმა **ა. გალსტიანმა.** იგი ორჯერ იყო ბალოდ მეგობრებთან, შეისწავლა მათი გამოცდილება, ორიერთხელ გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებანი ერევნის მუშაობის მოწინავე გამოცდილების სკოლის მსმენელებს. ამის შედეგად ვაგონების დამუშავება საშუალოდ ყოველ ლოკომოტივზე მნიშვნელოვნად დაჩქარდა.

ჩვენ ვცდილობთ ისე მოვაწყოთ ჩვენი მუშაობა, რომ კოლექტივის ყოველ წევრს გული შუტკოდეს საერთო საქმისათვის, — თქვა ამხ. გალსტიანმა. თავისუფალ დროს ჩვენ ხშირად ვიხილავთ საწარმოო საკითხებს, იმსა, თუ როგორია საწარმოო დისციპლინა, როგორ მიმდინარეობს შეჯიბრება ბაკოს სატვირთო სადგურის კოლექტივთან, რაც ამიერკავკასიის მომმე რესპუბლიკების რკინიგზელთა მეგობრობის განმტკიცების შესახებ ნიკ სკოლად გადაიქცა.

მეცნიერებისა და წარმოების მუშაკებმა თანამეგობრობის, მაგისტრალისათვის აქტიალური პრობლემების წარმატებით გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან საკითხებს შეეხო თავის სიტყვაში საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი ლ. **აბალიშვილი.** მან აღნიშნა, რომ ინსტიტუტის ტრანსპორტის ფაკულტეტს ყავს დიდად კვალიფიციური მეცნიერ-მუშაკები და საჭიროა მეტი სტუდენტის მიღება ამ ფაკულტეტზე.

თბილისის განყოფილების მატარებლების დისპეტჩერმა **ნ. ოზეროვამ** დამსწრეთ უამბო, თუ როგორ მიაღწია პროდუქციის გატანის დაჩქარებას ოსტაფინ ბაბაევის ოტინი სასუქის ქარხნიდან, რომელიც ქიმიურ სასუქებს აწარმოებს კოლექტიურ ნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის. სადისპეტჩერო აპარატის მუშაკები ბალანსირებული ყურადღებით ეკიდებიან ქარხნის რკინიგზიდან ქიმიკატების დატვირთული ვაგონების დროულად გამოყვანას და მათს შეუფერებელ გაგზავნას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

სომხეთის სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრმა **ა. ალაბაბოვმა** ილაპარაკა, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა სახეობის ტრანსპორტის, და განსაკუთრებით რკინიგზისა და საავტომობილო ტრანსპორტის, შეთანხმებულ განვითარებასა და ურთიერთმოქმედებას, რომელთა წილად მოდის სახალხო-სამეურნეო ტვირთის გადაზიდვის 80 პროცენტზე მეტი.

ბოლო დროს საავტომობილო ტრანსპორტი ჩვენს ქვეყანაში მეტად მაღალი ტემპით ვითარდება და უკვე შეიქმნა ყველა პირობა იმისათვის, რომ ახლო მომავლიდან ტვირთის გადაზიდვა საავტომობილო ტრანსპორტს დავაკისროთ. სამწუხაროდ უნდა ვაღიაროთ, რომ სომხეთის სს რესპუბლიკაში ამ მიმართულებით პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა, თქვა ამხ. აღაბაბოვმა და მთელი რიგი მაგალითები დიმოწმა. არაარატის ცემენტის ქარხნის პროდუქცია მოკლე მანძილზეაც რკინიგზის ვაგონებით გადაიაქვთ, შემდეგ კი იყენებენ ამ მიზნისათვის გამოუსადეგარ ღიაძარიან ავტომანქანებს. ამას, რასაკვირველია, თან სდევს ცემენტის მნიშვნელოვანი დანაკარგი.

დიდი საწარმოო-მასობრივი და აღმზრდელობითი მუშაობა, რაც ხორციელდება ამიერკავკასიის მაგისტრალზე, რკინიგზელების ჩაბმა კომუნისტური შრომისათვის პატრიოტულ მოძრაობაში, საზოგადოებრიობის ფართო მონაწილეობა მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის და სახალხო-სამეურნეო ტვირთის გადაზიდვის დროს დანაკლისის აღმოფხვრისათვის ბრძოლაში — ამ საკითხებს მიუძღვნა თავისი სიტყვა რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის თავმჯდომარემ **გ. ფორფოლაძემ.**

ჩვენი შუქურები, განაცხადა მან, მუდამ გვინათებენ ახალი მიჯნების, ახალი კეთილშობილური საქმეების გზას. ამის შედეგად მაგისტრალის ყველა განყოფილების კოლექტივებმა დიუნეს შეჯიბრება კომუნისტური შრომის განყოფილების საპატიო წოდებისათვის, და ახლა ჩვენ უკვე გვაქვს რეალური შესაძლებლობა, რომ რკინიგზის მთელმა მრავალათასიანმა კოლექტივმა ბრძოლა დაიწყოს კომუნისტური შრომის მაგისტრალის წოდებისათვის.

ამხ. ფორფოლაძემ მოიყვანა იმის მაგალითები, თუ როგორ იჩენდნენ რკინიგზელები კომუნისტურ, მაღალ შეგნებულ დამოკიდებულებას სახელმწიფო საქმისადმი და დაწერილებით უამბო დამსწრეთ, რომ რკინიგზის სამმართველოს ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების ჯგუფის ინიციატივით შეიქმნა და წარმატებით მუშაობს ბორჯომ-ბაკურიანის უბნის ელექტრიფიკაციის საზოგადოებრივი საპროექტო ბიურო.

ეჭვს არ იწვევს, რომ ბორჯომი-ბაკურიანის ელექტრიფიკაციის პროექტს, რომელიც საზოგადოებრივ საწყისებზე იქმნება, დროზე ჩაბარებენ და მთელ ჩვენს ქვეყანაში პირველი ვიწროლიანდაგიანი ელექტრიფიცირებული უბანი ისეთივე პიონერი იქნება, როგორიც მრავალი წლის წინათ იყო პირველი ფართოლიანდაგიანი ელექტრიფიცირებული უბანი სურამის ულუტეხილზე.

ამხ. ფორფოლაძე მხურვალედ მიესალმა ნოძმე ბალტიისპირეთის მაგისტრალის წარმოგზავნილებს და ხუნეა გამოთქვა, რომ ბალტიისპირეთისა და ამიერკავკასიის მაგისტრალთა კოლექტივების შეჯიბრება ტვირთნაზიდვაში გახდება ა კიდევ უფრო შესანიშნავ შედეგს მოიტანს.

ბაკოს სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის დისტანციის ელექტრომექანიკოსმა **ი. იადგაროვმა** ილაპარაკა დისტანციის კოლექტივის მუშაობაზე. ამ კოლექტივმა მოიპოვა კომუნისტური შრომის კოლექტივის სპატარი წოდება. დისტანციის 29 მუშაკი სწავლობს წარმოებას მოუწყვეტლივ ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, 25 მეკავშირე — მუშა ახალგაზრდობის სკოლებში. სამუშაო დროის შემჭიდროებით, შრომის მოწინავე მეთოდების გამოყენებითა და ტექნოლოგიური პროცესის გრაფიკის ზუსტი შესრულებით დისტანციის კოლექტივმა 20 პროცენტითა და მეტით გაზარდა შრომის ნაყოფიერება.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელის ბიუროს თავმჯდომარე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დავალებით მხურვალე მიესალმა კრების მონაწილეებს და მათი სახით ამიერკავკასიის მაგისტრალის მთელ სახელოვან კოლექტივს, უსურვა ახალი დიდი წარმატებანი იმ ამოცანათა შესრულებისათვის ბრძოლაში, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ ტრანსპორტის მუშაკებს დაუსახა.

ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ტვირთგადაზიდვის ძირითადი სამძიმე რკინიგზას აწევს. და აქა ინსასთან დაკავშირებით, რომ ყოველდღიურად ვიფარდება ეკონომიური ურთიერთობა აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკებს, აგრეთვე სხვა რესპუბლიკებ შორის, ამიერკავკასიის მაგისტრალის წინაშე განსაკუთრებით დიდი ამოცანებია დასახული.

ამავე დროს ახლაც რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობაში გვაქვს დარღვევის შემთხვევები. ამას ბოლო ეხება მოეღოს. დიდი ქიმიის ტვირთების გადაზიდვაში უნდა აღმოვფხვრათ ყოველი დაყოვნება, ყოველი შეფერხება. გიგანოფლებების და სადგურების ხელმძღვანელებმა მოკლე ვადაში უნდა მოაწესრიგონ ყველა გადაუწყვეტელი საკითხი „საქსოფლტექნიკასთან“, ავტოტრანსტანდთან, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამმართველოებთან.

რკინიგზამ მიაღწია იმას, რომ მნიშვნელოვნად შემცირდა ვაგონების მოცდენა, მაგრამ ამ დარგში გვაქვს ბევრი გამოუყენებელი რეზერვი. ორატორმა ხაზი გაუსვა, რომ საქართველოს სამრეწველო საწარმოებისა და მშენებლობების ხელმძღვანელები დიდ ვალში არიან რკინიგზელთა წინაშე. გასულ წელს საწარმოთა მისასვლელ გზებზე 192 ათასი ვაგონი ნორმის გადამეტებით 1.318 ათას ვაგონ-საათს მოცდა. სახელმწიფოს ამით უდიდესი ზარალი მიაყენეს. არ შეიძლება გადაეჭიროთ ვაგონები საწყობებად თვლებზე. საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭო გულმოდგინედ უნდა დაერკვეს ამ საკითხში და განახორციელოს შემდგომი ქმედითი ღონისძიებანი ვაგონების მოცდენის მოსასპობად.

გასულ წელს რკინიგზამ მიაღწია იმას, რომ რამდენადმე შემცირდა ტვირთების დანაკლისი გადაზიდვის დროს. ეს სწორია. მაგრამ ტვირთების სასენბით დაკვის უზრუნველყოფის ამოცანა ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი. ჩვენი ქვეყანა უდიდეს მატერიალურ სიმდიდრეს ანდობს რკინიგზელებს და მათი წმიდათაწმიდა მოვალეობაა გადაზიდონ და აღგილზე მიიტანონ ტვირთი უკნენელად. ამხ. გ. გეგეშიძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის საჭიროა დავრაზმოთ პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მთელი ძალები. მარტო საყოველთაოსახალხო კონტროლს შეუძლია ჩაკეტოს თავდასაძარეული თაღლითებისათვის.

ამხ. გ. გეგეშიძემ დიდი ყურადღება მიაქცია მგზავრთა გადაყვანას, რაც ჩვენში უფრო ცუდად წარმოეს, ვიდრე სხვა რკინიგზებზე. ცუდად იცავენ მატარებელთა მოძრაობის გრაფიკს. რკინიგზელები ყოველ თაობიერზე ლაპარაკობენ უბილეთო მგზავრების გადაყვანასთან ბრძოლის შესახებ. ეს თემა თითქმის მორიგი თემა გახდა. და მაინც, ამ ბოროტებასთან ბრძოლის ყველაზე სწორი ფორმის გამონახვა ჯერ კიდევ ვერ შეეძლოთ. ამის მიზეზი ის არის, რომ ყველა ღონისძიებას ვახორციელებთ მთავარი ამოცანისაგან — გამცილებელთა კადრების აღზრდისაგან მოწყვეტით. საქმის ამ ყველაზე ძნელსა და დიდმნიშვნელოვან მხარეს შეუწყნარებლად ნაკლებ ყურადღებას აქცევენ.

ახლოვდება მგზავრთა სახაფხულო გადაყვანის დრო. საჭიროა, რომ პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები აქტიურად ჩაებნენ ბრძოლაში მგზავრთა სანიმუშო მომსახურებისათვის.

რკინიგზის ყველა წარმატება, თქვა ამხ. გ. გეგეშიძემ, შეიძლება არარად იქცეს, თუ არ უზრუნველყოფთ მოძრაობის სრულ უსაფრთხოებას

მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში

იემენის მაღლობა უანგარო დახმარებისათვის

დასავლეთის საზანკო ისტერია

პაკისტანის პრეზიდენტის პასუხი ნ. ს. ხრუშჩოვის წერილზე

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილთან დაკავშირებით, რომელიც მან გაუგზავნა 1963 წლის 31 დეკემბერს მსოფლიოს ქვეყნების სახელმწიფოთა (ძთავრობათა) მეთაურებს, მიღებულია პაკისტანის პრეზიდენტის ფელდმარშალ მოჰამედ აიუბ ხანის პასუხი.

პაკისტანის პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ ახალი საბჭოთა ინიციატივის მიზანია „დაძაბულობის შემდგომი შენელება მსოფლიოში“ და წერს, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი ერთხელ კიდევ ადასტურებს საბჭოთა მთავრობის მეთაურის უდიდეს მეცადინეობას, „რომლის მიზანია საყოველთაო და სრული განიარაღების მიღწევა მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის“.

შემდეგ პაკისტანის პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ მან ზედმიწევნით შეისწავლა 1963 წლის 31 დეკემბრის წერილის წინადადებანი და დაწერილებით აშუქებს თავის პოზიციას ქაშმირის საკითხზე ინდოეთთან დავაში და გამოთქვამს აზრს, რომ შეხედულებანი და წინადადებანი, რომლებსაც შეიცავს ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი, „ცხადყოფენ, რომ საჭიროა ასეთი დავის სწრაფად გადაწყვეტა მთელ მსოფლიოში მშვიდობის ინტერესებისათვის“.

პრეზიდენტი მ. აიუბ ხანი აცხადებს: პაკისტანის მთავრობას მტკიცედ სწამს, რომ შეიძლება მშვიდობიანად მოწესრიგდეს საერთაშორისო დავა.

წერილის დასასრულს პაკისტანის პრეზიდენტი მ. აიუბ ხანი მიმართავს ნ. ს. ხრუშჩოვს და წერს: „რაც შეეხება კონკრეტულ წინადადებებს, რომლებიც წამოყენებულია თქვენი აღმატებულების წერილში, პაკისტანის თავრობა მოხარული იქნება მონაწილეობა მიიღოს თათბირში, თუ კი ასეთ თათბირს მოიწვევენ, რომელზეც თქვენი აღმატებულების წინადადებანი, რასაკვირველია, საფუძველი იქნება დისკუსიებისათვის. თუ მიღწეულ იქნება შეთანხმება იმის შესახებ, რომ სახელმწიფოებმა ეარი თქვან ძალის გამოყენებაზე ტერიტორიული დავისა და სასაზღვრო საკითხების გადაჭრის დროს, და ამავე დროს იმის შესახებ, რომ სახელმწიფოებმა იკისრონ ვალდებულება მათი მოწესრიგებისათვის გამოიყენონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამშვიდობო პროცედურები, მაშინ ეს ყველაზე დიდმნიშვნელოვანი წვლილი იქნება ჩვენს დროში მშვიდობის უზრუნველსაყოფად, და თქვენი აღმატებულება დაიმსახურებს კაცობრიობის მადლობას ინიციატივისათვის ამ საკითხში“.

მოლაპარაკება მოიწონეს

კაირო, 30 მარტი. (საკდესი). თავის განცხადებაში, რომელიც გუშინ საღამოს გამოქვეყნდა, იემენის არაბთა რესპუბლიკის პოლიტბიუროს მოიწონა იმ მოლაპარაკების შედეგები, რომელსაც პრეზიდენტი ას-სალალი საბჭოთა კავშირში აწარმოებდა. პოლიტბიუროს მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირს იემენის უანგარო დახმარებისათვის.

იემენი ბრალს სდებს

კაირო, 30 მარტი. (საკდესი). იემენის არაბთა რესპუბლიკის საელჩოს არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში გამოაქვეყნა განცხადება ინგლისის აგრესიის გამო, რაც მან 28 მარტს მოახდინა იემენის ქალაქ ჰარიბის წინააღმდეგ. განცხადებაში ნათქვამია, რომ იემენის არაბთა რესპუბლიკის მუდმივმა წარმომადგენელმა არაბთა ქვეყნების ლიგაში ლიგის გენერალურ მდივანს ჰასუნს მიმართა თხოვნით განაგრძოს ლიგის საბჭოს ახლანდელი სესია, რათა მან განიხილოს საკითხი ინგლისის აგრესიული მოქმედებისა იემენის წინააღმდეგ და მიიღოს შესაბამისი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ იემენის არაბთა რესპუბლიკის სუვერენიტეტს, მის დამოუკიდებლობასა და უშიშროებას.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ინგლისის განუწყვეტელი აგრესიული აქტები იემენის რესპუბლიკის წინააღმდეგ საფრთხეს უქმნიან მშვიდობასა და უშიშროებას ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონში.

მრისხანედ გმობენ

ლონდონი, 30 მარტი. (საკდესი). დღეს გაზეთი „დეილი უორკერი“ აღნიშნავს, რომ ინგლისის მთავრობის მოქმედებას, რომელმაც გასცა ბრძანება იემენის ფორტის ბარბაროსული დაბომბვის შესახებ. მისცა რა ამ თავდასხმის სანქცია, წერს გაზეთი, პრემიერ-მინისტრი დუგლას-ჰიუმი შემდეგ წავიდა ეკლესიაში. ვერც კაბინეტის მეთაური, ვერც მისი მინისტრები ვერ ხედავენ რიმე წინააღმდეგობას წირვაზე სიარულსა და იმ გადაწყვეტილებას შორის, რომ ინგლისის თვითმფრინავებმა გამოიყენონ რაკეტები და ნარბანზები „საადგომო მიმართვის“ გადასაცემად.

ინგლისის იმპერიალიზმი, ნათქვამია შემდეგ სტატიაში, კვლავ მზად არის გადადგას ყოველგვარი სამარცხვინო და ბარბაროსული ნაბიჯი, რათა შეინარჩუნოს თავისი ბატონობა დედამიწის ამ რაიონში. ფორტზე თავდასხმა შეიძლება აეხსნათ მხოლოდ ერთი მეტიდით — ინგლისის ნავთობის ინტერესების დაცვით შუა აღმოსავლეთში.

ვინც მზად არის დახოცოს ქალები და ბავშვები იემენში, განაგრძობს „დეილი უორკერი“, ისინი ამავე დროს არიან წყალბადის ბომბის დამცველნი, ნატოს მრავალმხრივი ატომური ძალების ადეკვატები და ცივი ომის „რაინდები“.

დასასრულ გაზეთი მოითხოვს მტკიცე წინააღმდეგობა გაეწიოს ამგვარ პოლიტიკას.

„ცოცხალი საქონლის“ მოვაჭრენი

პარიზი, 30 მარტი. (საკდესი). საფრანგეთში გამოააშკარავეს ადამიანის ვაჭრობის ფაქტები.

გასულ პარასკევს პარიზის აუსტერლიცის ვაგზლის ერთ-ერთ სათადარიგო ლიანდაგზე ნამოაყენეს სატვირთო ვაგონი, რკინიგზის კონტროლიორმა გადაწყვიტა შეემოწმებინა ვაგონის მდგომარეობა. მან გახსნა პლომბი და გააღო კარი, რომელზეც იყო წარწერა: „ცოცხალი პირუტყვი“. მაგრამ როგორ გაუკვირდა მოხელეს, როცა ვაგონში ადამიანები აღმოაჩინა.

ამ დროს ვაგონს მიუახლოვდა ეიღაც კაცი. როცა შენიშნა არასასიკეთო ამბავი, იგი შეეცადა მიმალულიყო, მაგრამ დაიჭიეს. საბუთების თანახმად, იგი იყო „პირუტყვის მოვაჭრე“ ვინმე ერიბუენი.

სინამდვილეში კი, წერს გაზეთი „ლუმანიტე“, ეს „ზანგების თანამედროვე მოვაჭრეა“ ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მან აღიარა, რომ ეწევა იმ გაჭირვებულ პორტუგალიელ იმიგრანტთა გადაყვანას, რომლებმაც საშობლო დატოვეს. თითოეული „სულისათვის“ მონათმოვაჭრეს პარიზელი მეწარმეები, რომლებსაც, როგორც მან თქვა, „იაფი მუშახელი სჭირდებათ“, აძლევდნენ 500-500 ფრანკს.

ასეთი სათაური აქვს ფრანგული ჟურნალის „ნუმო კანდიდის“ მაშინგტონელი კორესპონდენტის ფილიპ ალექსანდრის სტატიას. ვაქვეყნებთ ამ სტატიას მცირე შემოკლებით.

კენედის სიკვდილმა ბირჟის აფორიაქება გამოიწვია: კურსი მაღლა ავარდა. „აუვავება“ ახალი ძალით აღორძინდა, მაგრამ ეს სასიხარული ცეკვა როდი იყო. მასში იგრძნობა რაღაც უხამსი, როგორც მოხუცთა ცეკვაში, რომლებიც, საღამოს მაგარ სასმელს რომ ლლეკენ, თავიანთ რევმატიზმს ივიწყებენ და წრეში გადიან, რითაც ხშირად თავისადმი სიბრალულს იწვევენ.

საარჩევნო კამპანიის პირველი გაცვეთილი ჰანგები ვერ აღწევს „პატარა ძველ სახლამდე“ (იგი 14 ოთახისაგან შედგება და 169 წლისაა) ვაშინგტონის მდიდრულ კვარტალში. სადაც ცხოვრობს ყაკლინ კენედი. საარჩევნო კამპანია იქიდან მოხუცთა ცეკვად გეჩვენება.

ისინი ერომანეთს ებრძვიან იმის უფლებისათვის, რომ შეცვალონ კენედის მემკვიდრე, მათ არ იციან, რომ მემკვიდრეობა, რომელზეც მათ თვალი უპირავთ, მოწამლულია.

დაღონებული და გულდამძიმებული ეწერ იმაზე, რასაც ვხედავ აქ, ამ სწორუპოვარ დედაქალაქში.

ეს იდეალური (თუ იდეალიზებული) ამერიკა ომიდან გამოსულ ევროპელთათვის იყო სასწაულთა და აღტაცების ქვეყანა, კეთილი გენია, რომელიც მშვიდობას იცავდა, კეთილდღეობას ავრცელებდა. მას ეიზენჰაუერის ღიმილი ჰქონდა.

მაგრამ ამ მშვიდღიმილიანმა ამერიკამ თავისი ფრთები დაკარგა. პირველმა თანამგზავრმა გაიკამტვერა მისი რწმენა თავის ტექნიკურ უპირატესობაში. კასტრომ ეჰვი შეატანინა მის პოლიტიკურ შეუცდომლობაში. ევროპელებს არა შურთ მისი კეთილდღეობა, კომფორტი. კენედის მოსვლამ დაბადა ამ იდეალიზებული ამერიკის აღორძინების იმედი.

სამი წლის განმავლობაში, მიუხედავად ჩავარდნებისა, გზაანბეულობისა, შეცდომებისა, ჯონ კენედიმ ამერიკის პოლიტიკას თავს მოახვია თავისი ნებისყოფა, თავისი შეხედულება მსოფლიოზე. სურათი მისი საკუთარი წარმატებისა, სურათი მამამისის წარმატებისა, რომელმაც მოახერხა დიდი ქონება შეეძინა მაგარი სასმელების სპეკულაციით და ყველა აიძულა დაეცვა ეს, ნიღბავდა სიძნელეებს, რომლებიც გადაუჭრელი რჩებოდა.

ჯონსონის ამერიკას მძიმე მემკვიდრეობა ხვდა. დოლარის ბრჭყვიალი ვერ ცვლის თვალსაზრისს საფარს, რომელითაც კენედი რთავდა — და ნიღბავდა — თავის პოლიტიკას.

ერთხელ დილით, როცა მისმა მრჩველმა მაკჯორჯ ბანდიმ მოახსენა მას ოთხ ძნელ საკითხზე, კენედიმ ჰკითხა:

— როგორ ფიქრობთ, მემკვიდრეობით მივიღე ყველა ეს პრობლემა თუ თვითონ შევქმენი?

— ცოტა-ცოტა ისეც და ასეც, — ტაქტით უპასუხა ბანდიმ.

ჯონსონმა არც უნდა მისცეს თავის თავს ლა დაეკიწყაო ეს, ნიღბავდა სიძნელეებს, რომლებიც გადაუჭრელი რჩებოდა.

ჯონსონის ამერიკას მძიმე მემკვიდრეობა ხვდა. დოლარის ბრჭყვიალი ვერ ცვლის თვალსაზრისს საფარს, რომელითაც კენედი რთავდა — და ნიღბავდა — თავის პოლიტიკას.

ერთხელ დილით, როცა მისმა მრჩველმა მაკჯორჯ ბანდიმ მოახსენა მას ოთხ ძნელ საკითხზე, კენედიმ ჰკითხა:

— როგორ ფიქრობთ, მემკვიდრეობით მივიღე ყველა ეს პრობლემა თუ თვითონ შევქმენი?

— ცოტა-ცოტა ისეც და ასეც, — ტაქტით უპასუხა ბანდიმ.

ჯონსონმა არც უნდა მისცეს თავის თავს ლა დაეკიწყაო ეს, ნიღბავდა სიძნელეებს, რომლებიც გადაუჭრელი რჩებოდა.

ჯონსონის ამერიკას მძიმე მემკვიდრეობა ხვდა. დოლარის ბრჭყვიალი ვერ ცვლის თვალსაზრისს საფარს, რომელითაც კენედი რთავდა — და ნიღბავდა — თავის პოლიტიკას.

ერთხელ დილით, როცა მისმა მრჩველმა მაკჯორჯ ბანდიმ მოახსენა მას ოთხ ძნელ საკითხზე, კენედიმ ჰკითხა:

— როგორ ფიქრობთ, მემკვიდრეობით მივიღე ყველა ეს პრობლემა თუ თვითონ შევქმენი?

— ცოტა-ცოტა ისეც და ასეც, — ტაქტით უპასუხა ბანდიმ.

ჯონსონმა არც უნდა მისცეს თავის თავს

ჯონ კენედის მოწამლული მემკვიდრეობა

მოწმოგს პრესა

ბოცხალი ადამიანები

ბელგიის თათბირი კოლომბოში

„ბოცხალი საქონლის“ მოვაჭრენი

ბელგიელ კომუნისტთა ბოლოდროინდელი

ნაბეგვი „ვეფხვის“ ნაბოლარა

მიწისძვრა ალიასკაში

ბოკლე ცნობები

ბოლოდ სიტყვები

ბეთანხმება ცეცხლის შეწყვეტაზე

კომუნისტი

მე-3 გვერდი, სამშაბათი, 31 მარტი, 1964 წ.

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

წიგნი ანთიმოზ ივერიელზე

ბევრი ქართველი მოღვაწე ცხოვრობდა საზღვარგარეთ. ქართული კულტურის უძველესი საზღვარგარეთული ცენტრები სირიაში, პალესტინაში, ბიზანტიაში თუ სხვაგან, სადაც მოღვაწეობდნენ გამოჩენილი მეცნიერ-ფილოსოფოსები, მთარგმნელები, მწერლები პეტრე ივერი, იოანე, ექვთიმე და გიორგი ათონელები, იოანე პეტრიწი და ბევრი სხვა, ცნობილი იყო მსოფლიოში. ისინი გაგზავნილი იყვნენ, ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ იქ, რათა ემრავლებინათ ქართული კულტურის მიღწევანი.

...საზღვარგარეთ ცხოვრობდა კიდევ ერთი შესანიშნავი ქართველი — ანთიმოზ ივერიელი, მაგრამ მისი ბედი სულ სხვანაირი იყო: უცხოეთში ტყვედ ყოფილი უბრალო ხის მეჩუქურთმე, იგი ვალახეთის (რუმინეთის) მიტროპოლიტი, ცნობილი ანთიმ ივირიანუ გახდა, როგორც რუმინეთში, მის მეორე სამშობლოში უწოდდენენ.

ანთიმ ივირიანუ XVII-XVIII საუკუნეების რუმინეთის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე და ამ ქვეყნის თავდადებული პატრიოტია. მისი ცხოვრება ისეთივე მღელვარეა, როგორც ეპოქა. იგი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ გაათავისუფლოს ქვეყანა ოტომანთა უღლისაგან. მომბრძანა რუსეთთან დაახლოებისა, რადგან ეს მიაჩნია თურქეთისაგან რუმინეთის ხსნად (სწორედ თურქებმა აჩეხეს ანთიმი 1716 წელს).

დიდია ივირიანუს ღვაწლი რუმინული კულტურის განვითარებაში. მან დააარსა სტამბები სხვადასხვა ქალაქში. აქ დაიბეჭდა სასულიერო და საერო წიგნები რუმინულ, ბერძნულ, სლავურ, არაბულ ენებზე: პლუტარქის „ბერძნულ-რომანული პარალელები", „ბერძნულ-არაბული ლიტურგია", „ბერძნულ-რუმინული სახარება", „სლავური ენის გრამატიკა" და ბევრი სხვა. ბეჭდავდა თავის ნაწარმოებებსაც.

როცა ეცნობით ანთიმის ცხოვრებას, გაკვირვებთ მისი ნიჭი და შრომისმოყვარეობა, მისი ნატიფი გემოვნება და უსაზღვრო სიყვარული ხელოვნებისადმი. ანთიმმა სახელი გაითქვა როგორც ორატორმა, მბეჭდავმა, მთარგმნელმა, მხატვარმა, მოქანდაკემ, მშენებელმა...

უცხოეთს გადახვეწილმა ქართველმა თავისი სამშობლოც არ დაივიწყა. მხურვალედ გამოუხმაურა საქართველოს მეფის ვახტანგ VI თხოვნას დახმარებოდა საქართველოში სტამბის დაარსებაში. ანთიმმა მეფეს გამოუგზავნა თავისი საუკეთესო მოწაფე მიხეილი. ვახტანგმა მადლობის ნიშნად თბილისში დაბეჭდილი პირველი წიგნები რუმინეთის მიტროპოლიტს მიართვა.

სწორედ ამ შესანიშნავი ადამიანის ცხოვრება და მოღვაწეობაა აღწერილი ახალგაზრდა რუმინელი მწერლის რადუ ალბალას წიგნში „ანთიმ ივირიანუ და მისი დრო". ისტორიული წყაროების გამოყენებით მწერალმა ნაწარმოები მეტად საინტერესო გახდა. წიგნი გამოიცა ბუქარესტში, რუმინულ ენაზე, სერიით „გამოჩენილი ადამიანების ცხოვრება". (საქდესი).

* * *

სურათზე: გარეკანი წიგნისა „ანთიმ ივირიანუ".

(საქდესის ფოტოქრონიკა).

ახალ, ნათელ გინეგში

იზრდება და მშვენდება ქალაქი სამტრედია. საამშენებლო ხარჩოებთან არის დაფარული მისი ქუჩები და გარეუბნები. ამას წინათ აიგო და ახალმოსახლეებს გადაეცათ 48-ბინიანი საცხოვრებელი სახლი. მალე დამთავრდება სამსართულიანი საავადმყოფოს მშენებლობა, რომელიც მომსახურებას გაუწევს ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების მშრომელებს.

ხ. ნუცუბიძე.

სურათზე: ჰიდროპონიკის წესით მოყვანილ კიტრს ათვალიერებენ მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი პ. კერვალიშვილი, აგრონომი ნ. სინჯიაშვილი და ინჟინერ-მექანიზატორი შ. ჯმუხაძე.

ფოტო გ. გოგობიასი.

ჰიდროპონიკა კრწანისში

კრწანისის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა გასულ წელს კარგ წარმატებას მიაღწია. მეურნეობაში სწორად დაგეგმეთ შრომის ორგანიზაცია, გავიჩინეთ სოციალისტური შეჯიბრება უბნებში, ბრიგადებსა და რგოლებში. წინათ ჩამორჩენილი მეურნეობა შიდასამეურნეო სპეციალიზაციით, შრომის სწორი ორგანიზაციით მოწინავეთა რიგებში ჩადგა და რენტაბელური გახდა. სამეურნეო წელი მოგებით დავამთავრეთ.

თბილისისა და რუსთავის მშრომელების წლის ყველა დროში ბოსტნეულით მომარაგებისათვის ჩვენი მეურნეობის მიერ განხორციელებული ღონისძიებები საკმარისი მაინც არ აღმოჩნდა. ამასთან სათბურებში გაზაფხულზე ადრე ნაყენები კიტრი და პამიდორი მეურნეობას ძვირი უჯდებოდა. დავიწყეთ ახალი რეზერვების გამოძებნა. ჩვენი სპეციალისტები გარდაბნის რაიონის პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელობის მითითებით გაეცნენ რაიონის ბიჯვინთის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში ჩავიდნენ, რომ იქაურ გამოცდილებას გასცნობოდნენ. ბიჯვინთაში იყვნენ: მეურნეობის მშენებელი ინჟინერი ბ. ყიფიანი, გარდაბნის სპეციალიზებული ტრესტის მთავარი აგრონომი მ. ცინცაძე და აგრონომი ბ. დოლიძე. მათ გულდასმით შეისწავლეს ჰიდროპონიკის წესით ბოსტნეულის მოყვანის ხერხები.

გასული წლის ბოლოს ჩვენთან, კრწანისში დაიწყო ძველი სათბურის ერთი სექციის ახლებურად გადაკეთება. ბ. ყიფიანის, მეურნეობის მთავარი აგრონომის ე. გელენიძისა და სასათბურო კომბინატის ხელმძღვანელის ნ. სინჯიაშვილის ყოველდღიური ხელმძღვანელობით ყველა სამუშაო ვადაზე ადრე შესრულდა. ქობულეთიდან ჩამოვიტანეთ 300 კუბმეტრი ზღვის წმინდა ქვიშა. ჰიდროპონიკით ბოსტნეულის მოსაყვანად გამოვიყენეთ დახურული სათბურები.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ მომავალში მტკვრის წმინდა ქვიშასაც გამოვიყენებთ, რომელიც უფრო იაფი ჯდება. ეს უკვე გამოცდილი და კარგი შედეგი მივიღეთ. კრწანისში მოვაწყეთ ბოსტნეულის მოყვანა ჰიდროპონიკით. აბაში მთავარია ქვიშა და თხევადი ნივთიერება. პირველი შედეგები სასიხარულოა. კიტრის მოსავალმა მოლოდინს გადაჭარბა. გემოც საუცხოოა. კიტრი რამდენიმე ასეულ კვადრატულ ჰექტარზე მოვიყვანეთ ჰიდროპონიკით.

კრწანისში ჰიდროპონიკის წესით ბოსტნეულის მოყვანის პირველი ეტაპი დიდი ენერგიულობით, ენერგიულ ... ეტაპად, რომ თბილისსა და რუსთავის მშრომელები წლის ყველა დროს მოვამარაგოთ იაფი ბოსტნეულით. ამასთან შემცირდება შრომის დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე. შესუბუქდება შრომა.

კიტრისა და პამიდორის დარგვის შემდეგ მორწყვაზე, დამუშავებასა და მოვლაზე საჭიროა იყო მეტი მუშახელი და დიდი ხარჯები. ჰიდროპონიკის უპირატესობა ისიც არის, რომ შემოდგომით ღია გრუნტის კიტრის მოსავლის ალების დამთავრების შემდეგ ზამთრის ყოველ თვეში ყოველდღიურად იქნება ახალი კიტრი, პამიდორი და სხვა ბოსტნეული. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჰიდროპონიკის გამოყენებით ბოსტნეულის მოსავლიანობა 30-35 პროცენტით იზრდება.

ჰიდროპონიკა ჩვენს მეურნეობაში კვლავ დიდ ადგილს დაიკავებს. წელს ხუთ ჰექტარ ფართობზე დახურულ გრუნტზე მოვაწყობთ ბოსტნეულის მოყვანას ჰიდროპონიკის წესით, ხოლო ღია გრუნტზე — უფრო მეტ ფართობზე. მაშინ თბილისელებს საშუალება აქვებათ გვიან შემოდგომაზე, შუა ზამთარში და ადრე გაზაფხულზე იაფი და მაღალხარისხოვანი ბოსტნეული მიიღონ.

ი. მესხიშვილი,
გარდაბნის სპეციალიზებული ტრესტის კრწანისის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

პ. კერვალიშვილი,
მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი.

ნორჩი თაობისათვის

გამომცემლობა „ნაკადულმა" სოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის გამოსცა „ნობათის" მეორე ნომერი, რომელშიც დაბეჭდილია მაყვალა მრეველიშვილის, გიორგი კაჟანაძის, ჯანსუღ ჩარკვიანის, არნო ონელის, ნელი გაბრიჩიძის, ჯანსუღ ნიკაბაძის, გივი ძნელაძის, გივი ჭიკინაძის, თამაზ შათირიშვილის, კარლო კობერიძის, ნოდარ შამანაძის, ტაგო მებურიშვილის, ეთერ სამხარაძის, ნუნუ კერესელიძის, გიორგი შეთიკაურის, გურამ ორჯონიკიძის ლექსები; რეკვზე ინანიშვილის, ნინო ბეზარაშვილის, დიდო ვადაკორიას, მეირან ელიოზაშვილის, ლაკრეტი ჭეკინაძის, კლავდია დევდარიანის, ეახტანგ კახაძის და სხვათა მოთხრობები.

კრებულის რედაქტორია ლ. ქადაგიშვილი, მხატვრობა ეკუთვნის ჯ. ლოლუას.

ხელოვნური თირკმელი

ვარშავა, 28 მარტი. (საქდესი). მოსკოვის საექსპერიმენტო ქირურგიული აპარატურისა და ხელსაწყოების სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა პოლონელ ექიმებს „კატოვიცში გადასცა „ხელოვნური თირკმელი". აპარატის დამონტაჟებაში დაეხმარა საბჭოთა სპეციალისტი. მაღე გააცნო პოლონელ ექიმებს აპარატის მუშაობა.

და აი ამ დღეებში საბჭოთა „ხელოვნურმა თირკმელმა" ჩაადარა პირველი პრაქტიკული გამოცდა კატოვიცში. პირველი პაციენტი იყო 21 წლის მეშახტე იან ოკუზეკი, რომელიც „კაზიმეუ იულიუშის" შახტში ჩამონგრევის დროს ქვანახშირის ქვეშ მოჰყვა. 4 საათს იკვლევდნენ გზას მისკენ მაშველი გუნდები. მარცხენა ფეხისა და ხელის მოტეხილობის გარდა მეშახტეს ხელოვნად ძლიერი შოკი, რის გამო დაირღვა თირკმლების მოქმედება.

ოპერაცია „ხელოვნური თირკმლის" გამოყენებით, რამაც რამდენიმე საათს გასტანა, წარმატებით დამთავრდა. „ხელოვნური თირკმელი" დაეხმარა ექიმებს სიცოცხლე შეენარჩუნებინათ ახალგაზრდა მეშახტისათვის.

შ. ი. ბინაძე — ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, ისტორიული და ფილოსოფიური მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე:

„ეთიკის პრობლემები ბ. ბელინსკის, ა. გერცენისა და ნ. ჩერნიშევსკის ფილოსოფიაში".

სსრ კავშირის უმაღლესი და სამეცნიერო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა შ. ბინაძისათვის ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოპოვება.

მკითხველის კალმით

□ **ამას წინათ** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა კონფერენცია, რომელმაც მოისმინა უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის პარტბიუროს მდივნის დოცენტ ვ. გორგილაძის მოხსენება „რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის ეკონომისტთა კადრების მომზადებისა და გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ".

კონფერენციის მუშაობაში უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ იმ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებმა, რომლებისთვისაც სასწავლებელი ამზადებს ეკონომისტებს.

ვ. ადვაძე.

□ **ლენინგორელმა** მეთხუთველებმა შეხვედრა მოუწყეს პოეტ ი. ონნოშვილს. პოეტის შემოქმედებაზე ილაპარაკა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა თ. მონცელიძემ. პოეტის ლექსები, რომლებიც ოსურ ენაზე ითარგმნა და გამოიცა, წაიკითხეს ოსმა მწერლებმა გაფუზმა, გ. ძუგაევმა, ბ. ბესთაუთმა, გ. ნართოკო